ცნობის ფურცელი

№ 1765 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 ხუთშაბათი, 28 მარტი № 1765

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **5** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24
ტელეფონი № 642.

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლის ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილის მოსაზრების განხილვა, ორის წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის ალებ—მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავების და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.** (ნ. 10—2)

ქართული თეატრი
შაბათს, 30 მარტს, 1902 წელს
ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში
გამართული იქნება
კონცერტი,

რომელშიაც იმღერებს გურულ ტანისამოსში გამოწყობილი ხორო გურულს, ქართულს, იმერულს, მეგრულს და კახურს სიმღერებს. მათ შორის აღასრულებს ორ სართულიან ფერხულს და მეგრულს ნადურს თოხნით ისე, როგორც ნამდვილ ყანაში
ზ. ფ. ქორიძის ლოტბარობით.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (3—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ ზედგენიძისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

კ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. ზედგენიძე—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

მ. გ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

მ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. ზედგენიძე—ნერვებისა და შინაგანი 11—2 საათამდე.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური გამოკვლ.)

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—9 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274. (წლ.)

საყურადღებო საგანგებო კომისიები

ჩვენის გაზეთების სხვა-და-სხვა განყოფილებაში ბოლოს დროს რამდენჯერმე მივაქციეთ მკითხველ საზოგადოების ყურადღება ორ მნიშვნელოვან საგანგებო კომისიაზე, რომელნიც ახლა პეტერბურგში მუშაობენ. ამ ორ კომისიაზეა ამ ჟამად მიქცეული რუსეთის პრესსისა და საზოგადოების ყურადღება და საჭიროა ვისარგებლოთ მარჯვე შემთხვევით, რათა ჩვენის ქვეყნის ზოგიერთი საჭიროებანი ვამცნოთ ვისიც ჯერ არს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ თვით ხსენებული კომისიები გვიწვევენ დახმარებისა და საერთო მუშაობისათვის.

თუ რამდენად მნიშვნელოვანნი არიან ეს კომისიები და რა მარჯვე შემთხვევას იძლევიან, ნათლად სჩანს მათის პროგრამისა და განზრახვათა განხილვიდან.

პირველი დაარსდა, უმაღლესის ბრძანებით, სამეურნეო-მრეწველობის გაჭირვებულ მდგომარეობის შესასწავლადა და მისის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს მოკლე აღნიშვნა კომისიის საგნისა ბევრს აფიქრებინებს, რომ დავალდებული საქმე ვიწრო ფარგალშია შეზღუდული, მაგრამ ამგვარი ფიქრი შეცდომა იქნება. საქმე შეეხება **სოფლის ყოველ-მხრივ მდგომარეობას**; განზრახულია გადასინჯონ სოფლის ხალხის მდგომარეობა იურიდულის, ეკონომიურის და მთელის მისის ყოფა-ცხოვრების მხრით. ასე ფართოდ ესმის თვით საგანგებო კომისიას თვისი დავალება და ამიტომაც გამოიწვია მისმა დაარსებამ ბევრგვარი იმედი რუსის საზოგადოება-მწერლობაში.

ასეთ დიდის საქმის აღსრულებისათვის კომისიას თავისუფალი და ფართო გზაც უჩვენეს: მას ნება აქვს ვინც უნდა, ის მიიწვიოს პეტერბურგის კრებებზე დასასწრებლად, სადაც უნდა, იქ გამართოს ადგილობრივი კრებები, დაეკითხოს ყველა საზოგადო დაწესებულებათ და სხვა.

რუსეთის იმპერია ბევრ სხვა-და-სხვა ნაწილებიდან შესდგება; ამასთანავე ერთი ნაწილი ხშირად სრულიად განირჩევა მეორისაგან; ყოველში ცალკე სრულიად თავისებური გარემოება და ცხოვრების პირობები არსებობენ; ამიტომაც კომისია სრულიად სამართლიანად სცნობს საჭიროდ მოახდინოს ადგილობრივი კრებები დაინტერესებულ დაწესებულებათა და კომპეტენტ პირთა, რათა გაადვილდეს ადგილობრივ პირობათა და სოფლის საჭიროებათა შესწავლა.

შეიძლება, არცერთი მხარე დიდის იმპერიისა არ იყოს ისე განსხვავებული, როგორც ჩვენი. სწორედ ჩვენი სოფლის ცხოვრება, რომლის შესწავლა-გაუმჯობესება დაევალა საგანგებო კომისიას, წარმოადგენს განსაკუთრებულ სურათს, რომელიც არ იცის, მაგალითად, რუსეთის შუა გულმა. თავიდათავი მიზეზი ამ განსხვავებისა ის არის, რომ ჩვენში ჯერაც ნახევრად ბატონყმობა არსებობს. გლეხთა განთავისუფლება, ეს დიადი რეფორმა, რომელმაც სხვა საფუძველზე დააყენა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენში სრულიად განსხვავებულის წესით მოხდა, ვიდრე რუსეთში, და ამიტომ ჩვენში ჯერაც დარჩა ვალდებული დამოკიდებულება გლეხებისა; თუმცა მას „დროებითი“ ეწოდება, მაგრამ იმ გზით, რომელიც მის მოსასპობლად აღინიშნა, „დროებითი“ მდგომარეობა მეტად დიდ-ხანს გასტანს. აი სწორედ ამ „დროებით ვალდებულობაზე“, როგორც მოხერხებულს ნიადაგზე, აღმოცენდა ის მრავალი მოუწყობლობა, უწესრიგობა და გაჭირვება ჩვენის სოფლისა, რომელმაც დააქვეითა ჩვენი ხალხი და გაუძნელა მას არსებობისათვის ბრძოლა.

ამ განსხვავებულს გარემოებას მთავრობის ყურადღებაც მიუქცევია, მაგრამ საქმე ისევ გადაუწყვეტელი რჩება და მასთან ერთად გადაუწყვეტელი რჩება ბევრი სხვა, უმთავრეს მიზეზისაგან დამოკიდებული, საჭიროებაც.

ფელეტონი

პატარა ფელეტონი

...„მე ყოველთვის გაოცებული ვარ ხოლმე, როდესაც ვხედავ, ადამიანი იღვწის, ცხოვრების გაუმჯობესობა და გაუკეთესება უნდა, მომავლისკენ მისწრაფვის და ამ „მომავალში სხნას და ნუგეშს ჰხედავს“. ასე დაიწყო ლაპარაკი ჩემმა თანამგზავრმა, ჩემთან ერთად ვაგონის კუპეში მჯდომმა. მატარებელი ქართლის ველებზე მიგვაქროლებდა. ტფილისისაკენ მოვდიოდით. მეზობელ მგზავრს გზაში გავეცანი. სხვებისაგან არაფრით არ გაირჩეოდა ეს ჩემი ახლად გაცნობილი მეზობელი. მხოლოდ მის თვალებში რაღაც გაუბედაობა და მორცხვობა ესახებოდა; პირისახე დაღონებული ჰქონდა და მთელ მისს სხეულს რაღაც დაღალვა ეტყობოდა.

„რად მოქმედობს ადამიანი, განაგრძო მან, ასე ხარბად რად ებღაუჭება სიცოცხლეს, რა არის ამ სიცოცხლეში ასეთი ხელ-ჩასაჭიდებელი, რომ ზრუნვის და სიყვარულის ღირსი იყოს?—„რასა ბრძანებთ,—ვერ მოვითმინე მე,—კაცი მოქმედობს, რადგან ჭამა-სმა უნდა, კმაყოფილება ხორციელი და სულიერი. კაცი ბედნიერებას ეძებს. სიცოცხლე აძლევს, ანიჭებს ამ ბედნიერებას...“

— ბედნიერება! მწარედ გაიცინა და სიტყვა გამაწყვეტინა ჩემმა თანამგზავრმა. ბედნიერება, კმაყოფილება! მიკვირს, უმნიშვნელო სიტყვებს ხმარობთ. სად არის ბედნიერი? ვინ არის კმაყოფილი? იტყვით, კაცობრიობის დიდი უმრავლესობაო. ეს ასე არ არის. და თუ არის, შეუგნებლობით მოსდის. სიცოცხლე იმგვარი თვისებისაა, რომ იგი თავის დღეში ვერ გააჯერებს კაცის გულს, ვერ დაამშვიდებს, ვერ დააწყნარებს აღშფოთებულ სულს. თვალ-ყურს რომ ვადევნებ ხალხის ცხოვრებას, საზოგადოების მოღვაწეობას, მწერლობას, სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოქმედებას, ვერ შემითვისებია ის აზრი, თუ რად სცხოვრობს ხალხი, რად მოღვაწეობს საზოგადოება, მწერლობა ვისთვის ან რისთვის არკვევს სხვა-და-სხვა კითხვებს, როდესაც თვით ცხოვრება უაზროა, მოღვაწეობა უშინო და ამის მიხედვით—მწერლობაც უმნიშვნელო.

— ჰო, მესმის,—მეც, ჩემის მხრივ, გავაწყვეტინე, —თქვენ, ალბად, სიცოცხლეში უკვდავებას ეძებთ და სრულ ბედნიერებისაკენ მიისწრაფვით. თქვენი სიტყვები გაუმაძღარ კაცის გულის თქმაა, სხვა არაფერი. თქვენ უარ-ჰყოფთ სიცოცხლეს, რადგან სიცოცხლე თქვენი სამუდამო კუთვნილება არ არის, უკუაგდებთ ბედნიერებას, რადგან იგი წუთიერია, კმაყოფილებას ვერა გრძნობთ, რადგან გაშმაგებული მადა გაქვთ გაღვიძებული. თქვენი ფილოსოფია უკიდურესი, ეგოისტის ფილოსოფიაა.

— მიმიხვდით, — მიპასუხა მეზობელმა, — მხოლოდ ერთში სცდებით. ყველა ეს პირადი უკმაყოფილებით და სიცოცხლის გაუმაძღრობით არ მომდის: მე მძულს და მეზიზღება თვით სიცოცხლე, რადგან იგი ფუჭია, თვალთ-მაქცობა და მოტყუებაა. არა, დაუფიქრდით. ვსთქვათ, მე მუშა კაცი ვარ, სოფლელი თუ ქალაქელი, მთელ ჩემს ძალ-ღონეს ლუკმა პურის მოსაპოვებლად შრომას ვანდომებ. ტანჯვით, ვაი-ვაგლახით, ოფლის ღვრით ვცხოვრობ ოცდა-ათი, ორმოცი, სამოცი წელიწადი. შემდეგ ამისა ვკვდები. ამასვე სჩადიან ჩემი მიმდევარნი: იღვწიან, შრომობენ და ბოლოს ეცლებიან წუთი-სოფელს, ჰკვდებიან. ამ მრიგად ერთი თაობა მეორე თაობის ადგილს იჭერს, მეორე თაობა მესამისას, ხოლო ყველა ესენი, რიგ-რიგზე, ჰქრებიან და კვდებიან. მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?.. ვსთქვათ, თქვენ საზოგადო მოღვაწე ხართ, რაღაცას ცოდვილობთ, რაღაცას ცდილობთ, გინდათ თქვენი მოძმენი გააბედნიეროთ, გინდათ თქვენი რწმენისამებრ ცხოვრება გააუკეთესოთ და დაამშვენოთ. თქვენ მგოსანი ხართ, მეცნიერი, მწერალი. ოცნებობთ, აზროვნობთ, იკვლევთ, რიღაცის განმარტებაში ხართ. თქვენ გყავთ ცოლი, და მეგობარი. ყველა ესენი თქვენ გიყვართ. თქვენი სიცოცხლე სულიერ და ხორციელ სიამოვნებით სავსეა. და აი, როდესაც თქვენი ბედნიერება უმაღლესს წერტილამდე ადის, როდესაც თქვენი აზრი და გრძნობა დაწმიფებულია და თქვენ მზადა ხართ თქვენი სულიერი ძალა სხვას გადასცეთ, მოულოდნელად სცივდებით, ხდებით ავად. იტანჯებით რამდენსამე დღეს და ჰკვდებით, ე. ი. სამუდამოდ ეცლებით თქვენს ცოლს, მეგობრებს, სტოვებთ დაუმთავრებელ შრომას, იკლავთ გულში გამოუთქმელ სიტყვას... მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?

— ბატონო, სიკვდილი ისეთივე ბუნებრივი მოვლენაა, როგორც სიცოცხლე. ბუნებრივ მოვლენას ჩვენ ვერ შევცვლით,

მაგრამ, არა მარტო ცხოვრების პირობებით განირჩევა ჩვენი სოფელი რუსეთის შუაგულის სოფლისაგან, არამედ თვით იმ ღონისძიება-საშუალებითაც, რომლითაც შესაძლებელია მავნე პირობებთან ბრძოლა. ჩვენ ვამბობთ იმ დაწესებულებაზე, რომელმაც რუსეთში გაუფართოვა სოფლის მცხოვრებთ სამოქმედო ასპარეზი და ამ გზით მისცა მათ საშუალება გამკლავებოდნენ ბევრ გაჭირვება-უბედურებას. ამაზედაც არა ერთხელ ყოფილა აღძრული ლაპარაკი, არცარავინ არის თითქმის პრინციპიალური წინააღმდეგი ჩვენში ერობის შემოღებისა, მაგრამ ეს საქმეც შეჩერებულია და გადაუწყვეტელი.

ჩვენ არ შეგვიძლია აქ და არც გაგვიზრახავს დავასახელოთ ყველა ის მრავალფეროვანი განსხვავება და გაჭირვება, რომელიც აწუხებს დღეს ჩვენს სოფელს; ჩვენ გვინდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ განსაკუთრებული გარემოება აუცილებელ საჭიროებად ჰქმნის განსაკუთრებულსავე ყურადღებას. ხოლო ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავდაპირველადა და უმთავრესად ეს ყურადღება ჩვენვე უნდა მივაპყრათ საქმეს. ერთმა ადგილობრივმა დაწესებულებამ, სახელდობრ—კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე წარსდგა ნაბიჯი ამ საქმეში და მაგალითი მისცა სხვებსაც. ბ. სულთან-კრიმ-გირეის წინადადებით, ხსენებულმა საზოგადოებამ გადასწყვიტა, მოაწყოს სამაზრო კრებები ადგილობრივ სამეურნეო საჭიროებათა გამოსაკვლევად და ყველა—თავად-აზნაურობა თუ ადგილობრივი ინტელიგენცია, კერძო პირი თუ რომელიმე საზოგადო დაწესებულება—მოვალენი ერიან, თუ თვითონ დამოუკიდებლად ვერას გააწყობენ, სამეურნეო საზოგადოებას მაინც და მის მიერ მოსაწვევად განზრახულ სამაზრო კრებათ გაუწიონ ყოველგვარი დახმარება. რაც უფრო ფართოდ და სავსებით იქნება გათვალისწინებული ყოველი სასოფლო საკითხი და სამეურნეო გაჭირვება, რაც უფრო სრული იქმნება სურათი ჩვენის სოფლისა და ხალხის უმწეო მდგომარეობისა, მით უფრო ნაყოფიერი იქმნება შრომა და მით უფრო კარგად გავაგებინებთ, ვისაც ჯერ არს, ჩვენს ვარამსა და საჭიროებათ...

არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენგან მეორე საგანგებო კომისიის მოღვაწეობას. ამის საგანია—შეიმუშავოს სახალხო სკოლის რეორგანიზაციის პროგრამა. ჩვენ უკვე გვქონდა ამას წინად ამაზე ბაასი მკითხველთან და აქ გავახსენებთ მას მხოლოდ ერთ დიდ მნიშვნელოვან გარემოებას. საგანგებო კომისიას საჭიროდ დაუნახავს მომავალ სახალხო სკოლის პროგრამა შეუფარდოს და შეუთანხმოს ადგილობრივ პირობათ. კომისია პირდაპირ ამბობს, რომ შეუძლებელია იმ სახალხო სკოლებში, რომელნიც არა რუსთ ემსახურებიან, „ადგილობრივ ენას არ დაეთმოს საპატიო ადგილიო“. ეს პრინციპი იმდენად საგულისხმიეროა ჩვენთვის, რომ სწორედ დანაშაულობა იქნება ჩვენგან ახლა მაინც არ აღვამაღლოთ ხმა და არ ვამცნოთ საგანგებო კომისიას (რომელიც აგრეთვე იწვევს საზოგადოებას დახმარებისათვის), თუ რა ანორმალურ პირობებშია დღეს სასოფლო სკოლა ჩვენში და რა განკურნავს ამ დიდი ხნის სნეულსა და დავრდომილს...

თუ სასოფლო საჭიროებათა საქმეში პირველი ბიჯი ჩვენში სამეურნეო საზოგადოებამ წარსდგა, სასოფლო სკოლის საჭიროების შესახებ პირველად ხმა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უნდა აღამაღლოს. მას შეუძლია, მაგალითად, შეადგინოს ჩვენის საუკეთესო პედაგოგებისაგან კომისია და მისის დახმარებით შეიმუშავოს პროექტი იმ რეფორმისა, რომლის განხორციელება საჭიროა ჩვენებურ სასოფლო სკოლისათვის. ჩვენთვის ეს საქმე მით უფრო არ არის საძნელო, რომ ბ. გოგებაშვილი ამ საკითხში, ესე იგი, საკითხში, თუ როგორ უნდა მოეწყოს სახალხო სკოლა რუსეთის არა რუსთა ელემენტებს შორის, ავტორიტეტული პედაგოგია, რომლის აზრსა და მოსაზრებათ უთუოდ დიდის ყურადღებით მოისმენს საგანგებო კომისიაც.

P. S. ეს წერილი დასაბეჭდათ დამზადებული იყო, როცა 1-ლ კომისიის შესახებ დეპეშა მოვიდა.

საზღვარ-გარედ

შვეცია და ნორვეგია. „მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იწერება სტოკჰოლმიდან: „აქაურ საზოგადოების მთელი ყურადღება მიქცეული იყო რიკსდაგზე (პარლამენტი), სადაც უკვე რამდენიმე საგულისხმიერო საქმე გადაწყდა: რამდენიმე ათი მილიონი გადადვეს ჯარისა და ფლოტის გაძლიერებისათვის, ახალ არტილერიისათვის და თავისუფალ მსროლელთა საზოგადოების დახმარებისათვის. აქამდე რიკსდაგის წევრები მეტად ძუნწები იყვნენ სამხედრო ხარჯის გაღებაში, მაგრამ ამ ბოლოს დროს კი რუსეთის შიშის ზედ-გავლენით მზად არიან ყოველგვარ ხარჯისათვის, რომ მომზადებული დახვდნენ რუსების მომავალ თავდასხმას. შვეციაც და ნორვეგიაც თავიდან ფეხებამდე იარაღში ჯდება. შესამჩნევად უმატებენ ჯარსაც და ფლოტსაც. სკანდინავიის პრესსა დიდის გულმოდგინეობით ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც კი რუსეთში ხდება და მზადდება.

ინგლისი, რასაკვირველია, სცდილობს კიდევ უფრო გააფრთხილოს შვეცია და ნორვეგია, რადგან მეტად ეშინია რუსეთის ციხის გაჩენისა ცხვირის წინ ნორვეგიის ნაპირზე, სადაც ზღვა ზამთრობით არ იყინება.

ამ მოკლე ხანში აქ გაიმართება ფინლანდელების მომღერალთა ცნობილ ხორის ოთხი კონცერტი; ბილეთები დიდი ხანია გაყიდულია. მომღერლები სასტუმროებში რიდი იცხოვრებენ; ისინი წინდაწინვე მიიპატიჟეს კერძო ოჯახებში. ამ ხორის შემდეგ კონცერტს გამართავს ფინლანდიის მსროლელთა პოლკის (ეხლა ეს პოლკი აღარ არსებობს) ხორო“.

საფრანგეთი. საფრანგეთის პარლამენტმა დაასრულა თავისი სამსახური და ქვეყანასაც მოედო საარჩევანო აგიტაცია. ყოველ დღე, დიდ საკრებულო დარბაზებში და ყავახანებშიაც იმართება კრებები საარჩევნო ნიადაგის მოსამზადებლად. ყველგან გატაცებული კამათი და შეტაკებაა. განსაკუთრებულის ენერგიით ემზადებიან ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით იეზუიტები. თითქმის ყოველ დღე ყოველ ეკკლესიაში ჰქადაგებენ საუკეთესო ორატორები. დღე ისე არ გაივლის, რომ პასუხის გებაში არ მისცენ 5 ან 10 მქადაგებელი: ეკკლესიის, ღვთის სახლის პოლიტიკურ კათედრად გადაკეთება კანონით აღკრძალულია. სამღვდელოება თავის მხრივ საჩივარს საჩივარზე იწყებს მოწინააღმდეგე გაზეთების წინააღმდეგ. მარტო ჟერარის დეპარტამენტიდან 431 მღვდელმა აღძრა დიფამაციის საჩივარი რადიკალურ გაზეთ „ფრატერნიტე“-ს წინააღმდეგ. თითეული მღვდელი თხოულობს რედაქციისაგან 100 ფრანკ ზარალს, რაც ერთად 42,100 ფრანკს შეადგენს.

როცა კონგრეგაციების წინააღმდეგი კანონი ირჩეოდა პალატაში, სხვათა შორის, ვალდეკ-რუსსოს მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ უსარგებლო და უაზროა ამ კანონის მიღება, რადგან კლერიკალები მოახერხებენ გვერდი აუარონ მასაო. გამოდის, რომ გვერდი ვერ აუვლიათ, თორემ არც ასე გაწიწმატებული იქნებოდნენ მაშინ და არც ეხლა იმოქმედებდნენ ასეთის გაბრაზებით ვალდეკის წინააღმდეგ. სჩანს, კანონმა გასჭრა, სჩანს, ეხლანდელ სამინისტროს გველისათვის კუდზე ფეხი დაუჭერია და ამიტომ არის, რომ მას თავისი შხამიანი ენა გამოუყვია—მტრის საკბენად, მაგრამ იგი მიზანს ვერ მიაღწევს: მომავალ არჩევნებიდან სიბნელისა და ძალ-მომრეობის მოციქული კლერიკალები გამარჯვებული ვერ გამოვლენ.

უფრო ცუდათ არის კიდევ მელინის საქმე. ეს ძველი „მელა“, როგორც მას ეძახიან, თავისავე ხაფანგში გაება. ერთ დროს კომუნარი მელინი თანდათან მაძღართა და ძლიერთა გაბედული მფარველი შეიქმნა, და ამ მფარველობის უფრო კარგად მოწყობისათვის მან კინაღამ რესპუბლიკას უღალატა—დაუახლოვდა კლერიკალებს, რომელთაც იმ თავითვე სძულთ დემოკრატიული პრინციპი პოლიტიკურ წყობილებისა, და ნაციონალისტებს, რომელნიც იგივე ცეზარისტები არიან. კონგრეგაციების კანონის განხილვის დროს დიდი ქომაგობა გაუწია მელინმა კლერიკალებს და რაც შეეხება ნაციონალისტებს, იგი ფარულს საარჩევნო კავშირით შეეკრა მათ. როცა ეს უკანასკნელი გარემოება გამომჟღავნდა, ერთი ალიაქოთი ასტყდა პრესაში და პოლიტიკურ წრებში: არც ძველი მონარქისმი და არც ახალი ცეზარისმი საფრანგეთის ამომრჩეველთათვის სასურველი არ არის და ამიტომ მელინის მოქმედება ყველას ღალატად ეჩვენა. მელინი შეშინდა და რამდენჯერმე საჯაროდ უარჰყო ფარულად შეკრული კავშირი ნაციონალისტებთან. ამ გარემოებამ ნაციონალისტებიც გააბრაზა და ესენიც მოდგნენ მელინს. ერთის სიტყვით, მელინი გარიყული დარჩა და ყოვლად შეუძლებელია, რომ მისმა პროგრამამ გაიმარჯვოს მომავალ არჩევნების დროს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ თავის სიტყვაში მან სასტიკად გაილაშქრა ნაციონალისტების წინააღმდეგ—ნაციონალისტების რესპუბლიკა ერთის კაცის რესპუბლიკა არისო და ამისთანა რესპუბლიკა ჩვენ ნაპოლეონ მესამემ გვაწვნიაო და სხვა.

მელინი ტიპია საფრანგეთის ერთგვარ პოლიტიკურ მოღვაწეებისა, იგი მხოლოდ საუკეთესო (სისრულის მხრივ) წარმომადგენელია მათი და როცა მელინზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ ყველა მისებურ მოღვაწეებს.

ჩინეთი. ამ ქვეყნის დაწყნარება არ იქნა, მიუხედავად წასულ დაუჯერებელ „ეკზეკუციებისა“ და უფრო კი ამ ეკზეკუციების წყალობით. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იწერება; „ტამინგფუში, ჩჟილის სამხრეთ ნაწილში, მოხდა არეულობა, რომლის დროსაც, ჩინეთის მოხელეების სიტყვით, 1000 კაცი უნდა მომკვდარიყოს. არეულობა მოხდა იმის გამო, რომ ადგილობრივმა მოხელეებმა მოინდომეს ხალხისაგან შეეკრიბათ ფული კათოლიკე მისიონერების ზარალის აღსადგენად. არეულობის ადგილზე გაგზავნილია ჯარი და იმედი აქვთ, რომ წესიერება მალე დამყარდება. მაგრამ მოხელეები ურჩევენ მისიონერებს, თვალით არ დაენახვონ აღელვებულ ხალხს. ჰფიქრობენ, რომ ამგვარივე არეულობა სხვა ადგილებშიაც მოხდება, რადგან ხალხი მეტად შევიწროვებულია ქონებრივად“.

„ეკზეკუციებით“ და ჯარის-კაცების ძარცვა-რბევით ტყავ-გამძვრალმა ჩინელმა უნდა გადაუხადოს მძარცველებს დიდ-ძალი ფული იმ ზარალისათვის, რომელიც ძალად მაცხონე მისიონერებსა და „მოკავშირეთა“ მთავრობებს მოუვიდათ. რასაკვირველია, რომ ჩინეთი ჯერ კიდევ ვერ დაწყნარებულა—ჭიაც კი გაინძრევა, როცა ფეხს დააჭერ და ჩინელი ხომ ადამიანია.

✡ ზოგიერთი გერმანელი ინსტრუქტორი, რომელნიც თურმე წინათ ჩინეთის ჯარში მსახურებდნენ, მოწადინებული არიან ისევ ჩინეთის ჯარში შევიდნენ. მაგრამ ჩინეთის მთავრობამ გამოუცხადა მათ, რომ იგი აღარ მიიღებს უცხოელებს ჯარში, რადგან მათ შორის მეტოქეობაა და, შეიძლება, ერთის ეროვნების ინსტრუქტორების მოწვევას მეორე ერის უსიამოვნება მოჰყვესო.

აღსანიშნავი აქ ის გარემოებაა, რომ იაპონელი ინსტრუქტორები მიიღეს იუანშიკაის ჯარში. ალბად, იაპონელი ჩინელისათვის უცხოელი არ არის.

იაპონელ ინსტრუქტორებს დიდი უნარი გამოუჩენიათ ჯარების გაწვრთნის საქმეში; იუანშიკაის ჯარი ეხლავე კარგ მდგომარეობაზე დაუყენებიათ. იაპონელი აფიცრები ჩინურ ტანისამოსში არიან თურმე გამოწყობილი.

იტალია. როგორც ვიცით, იტალია და საფრანგეთი შეთანხმდნენ სამხრეთ-აფრიკის შესახებ. საფრანგეთმა ტრიპოლისი, რომელიც ოსმალეთს ეკუთვნის, იტალიის გავლენის სფერის ქვეშ მყოფად იცნო. თუ გაზეთებს დავუჯერეთ, იტალია უნდა ემზადებოდეს ახლო მომავალში ამ ქვეყნის დაპყრობას. ამ ხმას გაზეთები აფუძნებენ იმ გარემოებაზე, რომ მთავრობამ მოიწვია ჯარში 1878 წლის სათადარიგო ჯარის კაცები. მართალია, მთავრობამ ეს ზომა რკინის გზის მუშების გაფიცვით ახსნა, მაგრამ ეს გაზეთებს არა სჯერათ.

ახალი ამბავი

◆ კვირას, 31 მარტს, დილის 10 საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია **ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.**

ამიტომ იგი არ უნდა გვაღონებდეს—სიკვდილს უნდა დავემორჩილოთ ისე, როგორც სიცოცხლეს ვემორჩილებით.

— არა, თქვენ საგანს დააკვირდით. სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთში შეუთანხმებელია. სიცოცხლე გვიზიდავს, გვეალერსება, გვატყუებს, ბედნიერებას გვიქადის; სიკვდილი გვიმტკიცებს სიცოცხლის თვალთმაქცობას, სიცრუეს, სიმტყუნეს. ყური დამიგდეთ. კარგი, ვსთქვათ, თქვენ გადარჩით, არ დასნეულდით, არ შესწყვიტეთ მუშაობა. ვსთქვათ, თქვენ პირადად არა დაგაკლდათ რა. მაგრამ განა ეს თქვენი პირადი ბედნიერება ფუჭად არ ჩაივლის, თქვენთვის ძვირფასი არსება რომ დაჰკარგოთ. განა როდესაც თქვენ გიყვართ ახალგაზრდა ქალი, ლამაზი, კეკლუცი, სულ მნათი, სიცოცხლით სავსე და უეცრად ქალის მოულოდნელის სიკვდილის გამო, ჰკარგავთ თქვენს სიყვარულს, თქვენს ოცნებას, ჰკარგავთ იმას, რასაც ასე გულმხურვალედ ეთაყვანებოდით და ამაღლებდით, განა ამის შემდეგ შესაძლებელია კიდევ თქვენი სიცოცხლე? განა შესაწყნარებელია ამგვარი უსამართლობა, რადგან რა სიმართლეა ნორჩი, ფაქიზი ადამიანის სიკვდილი? მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?..

— სიყვარულის გარდა სხვა რამეცაა ამ ჩვენს სიცოცხლეში, გაუბედავად შევუწყვიტე სიტყვა ჩემ მოლაპარაკე მეზობელს. სიყვარულს და დაჩაგვრას მალე დაივიწყებთ, თუ...

— დაივიწყებთ, კაცის სიბილწე, სისაძაგლე სწორედ ამაშია. დიაღ, თქვენ სძლიეთ მწუხარება. თანდათან თქვენი გულის ტკივილი შემსუბუქდა. დრო მიდის და ამასობაში თქვენის გონებიდან წარსულის ყოველი კვალი იშლება. თქვენ აღარ სწუხართ, აღარ იტანჯებით, თქვენი გული ცივია, გაქვავებული. რასაც ეტრფოდით, დავიწყებულია, რაც გაღელვებდათ, გაფრთოვანებდათ, საუკუნოდ დაკარგულია. და ყველა ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთ დღეს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, მესამეს—მეოთხე... მიდიოდა დრო, ცვლებოდა ჟამი და ამ ჟამის დაბერებაში თქვენი გულიც დაბერდა, გაცვდა. თქვენ ივიწყებთ წარსულს მხოლოდ იმიტომ, რომ დრომ და ჟამმა მოგიკლათ ეს წარსული... მითხარით, რა აზრია ყველა ამაში?“.

ამ ლაპარაკში ჩვენი მატარებელი ქშენით და ორთქლ-ფქრევით მდელოზე მიაქანებდა. საღამო ხანი იყო. მზე მთებს მიეფარა. მინდვრებს და ველებს ნელ-ნელა სიბნელე აწვებოდა. ჩემს უცნაურს მოლაპარაკეს მე არა ვუპასუხე-რა და ფანჯარაში დავიწყე ცქერა.

— აი გადაჰხედეთ ამ მთებს, მინდვრებს, ამ სურათს,—დაიწყო ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ჩემმა მეზობელმა.—რა საცოდავობაა, ეს უხვი მრავალფეროვნებიანი სურათი, საცოდავობაა-მეთქი. დააკვირდით, რა მწუხარება აწვება მაღლიდან დედა-მიწას, როგორის მჰმუნვით და მუქარით გამოიყურებიან უზარმაზარი მთები. ამბობენ, ბუნება ამშვიდებს ადამიანის გულს, კმაყოფილებას აძლევსო. სიცრუეა. ბუნება, განუზომელი, განუსაზღვრელი, საიდუმლოებით მოცული, ღონის და ნაღვლით ავსებს ადამიანის გულს. გადახედეთ აქედან, რა გრძნობა გებადებათ ამ აყუდებულ მთების, დაობლებულ და მიყრუებულ მინდვრების ცქერით. გული გტკივათ, რადგან მარტოობას ჰგრძნობთ, თქვენ ვერ შეგითვისებიათ, ვერ შეგიგნიათ მთის და გადაშლილ მინდვრების საიდუმლოება. თქვენს გულში გაკვირვება, გაუგებრობა და ღრმა დაღონებაა. და ყველა ამას ბუნებით დატკბობას და სიამოვნებას უწოდებენ. არა, ბუნება, სიცოცხლესავით მწუხარეა, სიცოცხლესავით დამაღონებელია“...

ჩემი მეზობელი ამ სიტყვების გამოთქმის შემდეგ გაჩუმდა მიიწია კუთხისაკენ, დაჰხუჭა თვალები და ასე სულ-განაბული მიყუჩდა. ამასობაში დაბნელდა. მთა მეტის საიდუმლოებით მოიცო. მატარებელი კი ისევ შეუპოვრად, გრიალით და ქნეშით მიაქანებდა. ოდნავ მბჟუტავი სანთელი, გვერდზე კედლის ფანარში ჩადგმული, უცნაურის რხევით და კანკალით ჰფენდა მკრთალ სინათლეს...

მეც ვაღარა ვუპასუხე რა ჩემს მეზობელს. კამათი მეტი იყო. მე ვგრძნობდი, რომ ჩემს მოლაპარაკეს ვერაფერში ვერ დავარწმუნებდი. ეტყობა, მძიმე სევდა გულზე ლოდივით აწვებოდა; ეტყობა, ეს კაცი სიცოცხლეს დაუჩაგრავს და მისი შავი ფიქრები ამ დაჩაგვრის ნაყოფი იყო.

ერთის საათის სიარულის შემდეგ მატარებელი ტფილისს მოუახლოვდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ, ე. ი. ჩემი თანამგზავრი და მე გამოვესალმნით ერთმანეთს. „რა სეირი იქნება, ეს ჩვენი საუბარი რომ გადავცე მკითხველებს, გამიელვა თავში. რა საოხუნჯო მასალაა ყველა ამაში ჩვენებურ მეგაზეთეების საყურადღებო!“. ამ მოულოდნელმა მოსაზრებამ გამახარა და, დამშვიდებული, შინისკენ გავწიე.

არჩილ ჯორჯაძე

განსახილველი საგნებია: 1) საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმაროს თავად-აზნაურობამ უმაღლესად ნაბოძები 40 ათასი მან. და 2) საკითხი იმის შესახებ, თუ როდის იქმნას მოწვეული თავად-აზნაურთა მორიგი კრება.

◆ „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულში“ (№-28) დაბეჭდილია ცნობა ტფილისის **საკომერციო სასწავლებლის** წესდების შეცვლის შესახებ.

◆ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია მთავარმართებლის ბრძანება, რომ სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავ. ანდრონიკაშვილი**, თავისათვე თხოვნით, ავადმყოფობის გამო, დათხოვნილია სამსახურიდან.

◆ დღეს, 28 მარტს, დანიშნულია **ტფილისის საქალაქო საბჭოს სხდომა**, ნაცვლად ორშაბათის სხდომისა, რომელიც არ მოხდა დღესასწაულის გამო.

◆ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ეგზარხოსის ალექსის წინადადებით, ეხლახან შეუდგნენ მცხეთის **სამთავრო დედათა მონასტრის** ზოგიერთ ნაწილების განახლებას. განზრახულია: 1) სპილენძით დაიხუროს სამლოცველო, რომელიც პატარა საყდრის გვერდით არის ტალავარის ადგილს, სადაც წმ. ნინა ცხოვრობდა პირველად; 2) მირიან მეფის და იმის მეუღლის დედოფალი ნინოს საფლავებზე დაიდგას მარმარილოს აკლდამა და ტაძარიც გამშვენიერდეს მხატვრობით; 3) მონასტრის ეზოში გაშენდეს ტევრი და ხეხილის ბაღი; 4) მონასტრის შესავალი ალაყაფის კარები განახლდეს შესაფერ ძველ-ქართულს გემოვნებაზე და სხვა. მონასტრის გასაახლებად შესწირეს: თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანბატონმა 2,000 მან. საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ—100 მან. კომერციის სოვეტნიკმა დ. ზ. სარაჯიშვილმა 200 მან. გორის ეპისკოპმა კირიონმა 50 მან. დანარჩენს ფულზე ეგზარხოსი იშუამდგომლებს, რომ მისცენ მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების თანხიდან კავკასიაში. შემოწირულებათა ხელის მოწერა დაიწყეს („კავკ.“).

◆ 21 მარტს ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში მოხდა სხდომა კავკასიის **არქეოლოგიურ საზოგადოების** წევრთა. თავმჯდომარემ კრებისამ, ბ. ლოპატინსკიმ, აღძრა კითხვა იმის შესახებ, რომ საჭიროა გაიმართოს სამეცნიერო მოგზაურობა კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში. საზოგადოების წევრმა ბ. თაყაიშვილმა აუწყა საზოგადოებას, რომ ამ მიზნით ის ამ ზაფხულს მიემგზავრება ჯავახეთში, არტაანის ოლქში და აჭარაში. შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ, როდესაც რკინის გზის საჭიროებისთვის ადგილებს სთხრიდნენ მცხეთის ახლო, აღმოაჩინეს ძველი საფლავები, რომლებშიაც იპოვეს სხვა-და-სხვა ნივთები: თიხის ჰურჭელი, ვერცხლის ფული, თალლითი, სამაჯურები, რკინის და ოქროს ბეჭდები და რამდენიმე ოქროს ფული.

არქეოლოგიის მოყვარულმა ბ. ტერ-ასატუროვმა წარმოუდგინა საზოგადოებას ბლომად თალლითი, ბეჭდები, წინდის ჩხირები და სხ., რომლებიც იმას მოუპოვებია მცხეთაში საფლავების მთხრელებისგან. იმის სიტყვით, იქ უპოვნიათ: ოქროს ფული, ძვირფასი ოქროს ქამარი, ვერცხლის ბადია ზედ წარწერით; ყველა ეს დაუტაცნიათ და თითო თითოდ გაუყიდნიათ. ბ. თაყაიშვილმა წინადადება მისცა საზოგადოებას, დეპეშით სთხოვონ მოსკოვის კომიტეტს, გაიგზავნოს ერთი საზოგადოების წევრთაგანი გამოსაკვლეველად საფლავებისა. ზოგიერთმა წევრებმა სურვილი განაცხადეს, რომ წავიდნენ მცხეთაში ამ საფლავების სანახავად.

◆ შაბათს, 30 მარტს, დანიშნულია გეოგრაფიულ საზოგადოების სხდომა, რომელზედაც ამ საზოგადოების წევრი მაქსიმოვი წაიკითხავს თავის მოგზაურობის აღწერას, საზოგადოების მინდობილებით, **ქურთისტანში**.

◆ გუშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა აცნობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომ, კერძო რკინის გზათა სამმართველოებთან შეთანხმებით, ის მისცემს მესამე კლასის ვაგონს კიევში მიმავალ **ტფილისელ შეგირდთა ექსკურსიას**. ამავე ვაგონით შეგირდები კიევიდან ტფილისში დაბრუნდებიან.

◆ წყლისაგან გადამრჩენელი საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ, რათა გააცნოს მცხოვრებთ და პოლიციის მოხელეთ წყლისაგან გადარჩენის ზომები და აგრეთვე, როგორ უნდა მოუარონ და გონებაზე მოიყვანონ წყლიდან გადარჩენილები,—გადასწყვიტა ამის თაობაზე **ლექციები წაიკითხოს** ბუნდოვანის სურათებით. ლექციებს წაიკითხავენ საყოველთაოდ 7 აპრილს, 12 მაისს და 2 ივნისს ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ხოლო 28 აპრილს, 19 მაისს და 19 ივნისს ამ საავადმყოფოს მეორე განყოფილებაში, ვორონცოვის ქუჩაზე.

◆ პროვიზორს ენიკოლოფოვს რამდენსამე ექიმთან ერთად დაუდგენიათ დააარსონ ტფილისში საავადმყოფო **ექიმთა ღამის მორიგეობით** ისე, როგორც მოსკოვშია დაარსებული ექიმთა საზოგადოების საავადმყოფო.

◆ ტფილისის საყასბოს **მიკროსკოპიული სადგომი** დროებით დაიხურა.

◆ ამ დღეებში ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა ახალ ამბათ, რომ დიდუბეში 23 მარტს დაიკარგა სამი წლის ქალი ოკუჯავასი. როგორც გვატყობინებენ, მეორე დღეს, 24 მარტს საღამოს, მონადირეების ი. კ. ზამლინსკისა, ვედელიანსისა და ღუდუშაურის ძაღლები, ეგრედ წოდებულ „სუხოი ბალკაში“, გერმანელთა ახალშენის ყანებში, თავს წასდგომიან შიშისაგან აკანკალებულ პატარა ბავშვს და შემდეგ მონადირეებიც მისულან; მათ ბავშვისათვის საჭმელი მიუწოდებიათ, მოჰფერებიან და წამოუყვანიათ; როცა გაუგიათ, ოკუჯავა ბავშვს ეძებსო, შეუტყობინებიათ და ბავშვი ჩაუბარებიათ. ჯერაც არ იციან, ვინ ან რისთვის გაიტყუა ბავშვი და შემდეგ ასე ულმერთოდ დააგდო მინდორში.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ სთხოვა დამოენის დეპარტამენტის დირექტორს ნება მიეცეს საზოგადოებას გამოიწეროს უბაჟოდ საფრანგეთიდან ეგრედ წოდებული **„პარიზის ბალახი“** 150 ფუთამდე. ეს ბალახი სჭირდება საზოგადოებას სხვა-და-სხვა მავნე მწერებთან საბრძოლველად.

◆ კვირას, 31 მარტს, ტფილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში ლექციას წაიკითხავენ **კიევში მიმავალ შეგირდებისთვის**. ამ ლექციაში დაწვრილებით მოუთხრობენ, რაც კი რამ შესანიშნავია კიევში; ლექციას თან მოჰყვება ბუნდოვანი სურათები.

◆ ქალაქის საბეითალო სადგურის გამგედ საგუბერნიო სამმართველომ დანიშნა ქალაქის ბეითალი **სემენოვი**.

◆ ახლად დაარსებულმა ქართველ **ქალთა ამხანაგობის** „თამარ“-ის გამგეობამ სთხოვა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ი. ს. მედვედევს, დაუთმოს მას სააბრეშუმო სადგურმა 300 მისხ. გრენა, 2000 ძირი თუთის ნერგი და 3 გირვანქა თესლი უფასოდ ან-და 50% დათმობით. იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ შეწყნარებულ იქმნა აღნიშნული თხოვნა, ამხანაგობა გორის მაზრის მეაბრეშუმეებს უფასოდ დაურიგებს აბრეშუმის გრენას და ნერგებს.

◆ გუშინ ტფილისში გარდაიცვალა სომეხთა ცნობილი მომღერალი და ხოროს ლოტბარი **ყარა-მურზა**. განსვენებულმა დიდი ღვაწლი დასდო სომხურ ეროვნულ სიმღერა-გალობას: შეადგინა ხოროები, შეკრიბა ხალხური სიმღერები, გადაიღო ნოტებზე და სხვ.

◆ კარატაფიდან გვატყობინებენ, რომ 26 მარტს, საღამოს 5 საათზე 314 ვერსზე ტელეგრაფის მუშებმა იპოვნეს მტკვრის პირად გამორიყული გვამი. ტანისამოსზე ეტყობა, რომ დამრჩვალი გიმნაზიის მოსწავლე ვაჟი უნდა იყოს. მიცვალებულს ტანზე რამდენიმე ჭრილობა ეტყობა და აგრეთვე მარჯვენა ხელი მაჯასთან გაჭრილი აქვს.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწე თავ. სიდამონ-ერისთავი ამ დღეებში პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ოქრომჭედლების ქუჩაზე, 25 მარტს, საღამოს, წაჩხუბებულან ტფილისის მოქალაქე არშაკ ოღანეზოვი და ოქრომჭედელი თათეოზ მიხაილოვი; ჩხუბის დროს ოღანეზოვს უსვრია რევოლვერი და მიხაილოვი მძიმედ დაუჭრია. დამნაშავე დააპატიმრეს და გამოძიება სწარმოებს.

◆ სადოვოი ქუჩაზე მცხოვრებ სოკოლოვსკაიასათვის მის ყოფილ მზარეულს პასტურჩაკს მოუპარავს ფულად 100 მან. და 100 მან. ღირებული სამაჯური და სხვა ძვირფასი ნივთი. მზარეულს, სანამ ეს ქურდობა აღმოჩნდებოდა, სახლის პატრონისათვის ანგარიში მოუთხოვნია და სადღაც წასულა.

◆ 25 მარტს პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრების ევდოკია კრივოშეევისათვის ვიღაც ბოროტგამზრახველთ მოუპარავთ 60 მანათად ღირებული ნივთები.

◆ 25 მარტს, პოლიციის პირველს ნაწილში, დუნიცკის ქუჩაზე, პოლიციელმა ნახა მიგდებული ერთის თვის დაბადებული ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

◆ ორშაბათს, 25 მარტს, საღამოს 8 საათზე, ვაგზალის ქუჩაზე გაქანებული მოდიოდა ეტლი, რომელიც დაეტაკა იქვე ქუჩაში მიმავალ ავსტრიის ქვეშევრდომს ანენმა ფორტუნს, წააქცია და გაუტეხა თავი და დაუშავა ზურგის ძვალი. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს; პოლიცია მეეტლეს დაეძებს.

ცეცხლისაგან დამზღვეველ ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების კრება

კრება გაიხსნა 24 მარტს, 8 საათზე. თავმჯდომარეობდა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ლორთქიფანიძე.

მმართველობის თავმჯდომარემ გ. აკოფოვმა კრებას მოახსენა 1901 წლის ანგარიში: 1 იანვარს 1901 წელს საზოგადოებას ჰქონია დაზღვეული 377 წევრის მამული, 1,916,330 მ. საანგარიშო წელს საზოგადოებას დაუზღვევია კიდევ—32 ახალი მამული 152,100 მ. და დამატებით—დაზღვეული 18 მამული 62,900 მანეთისა; დაზღვევისაგან მამულები განთავისუფლებულა 71,350 მანეთისა, ასე რომ პირველ ამ წლის პირველ იანვარს საზოგადოებას ჰქონია დაზღვეული 389 წევრის მამული 2,079,980 მანეთი ღირებულობისა.

დაზღვეულ მამულებისაგან პრემია შემოსულა 7770 მ. 65 კ: %% თანხისა—827 მ. 40 კ. ხარჯი ჰქონია: მმართველობაზე 2,559 მ. 98 კ. ცეცხლისაგან ზარალის ასაღდგენად გაუცია 1,260 მ. 60 კ. მოკავშირე საზოგადოებათა მოთხოვნილებით—1951 მ. და მიუცია ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის 200 მანეთი.

ამგვარად წმინდა მოგება საზოგადოებას დარჩენია 2677 მ. 70 კაპ.

მცირე ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ საზოგადოების მოქმედება თან-და-თან იზრდება.

მმართველობის თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა შესაძლებლად დაინახა მიიღოს საზოგადოების პოლისები მხოლოდ ახალ მამულების დაგირავების დროსა და ზოგ წინად დაგირავებულ მამულებისაცაო.

საანგარიშო წელს, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, საზოგადოება 1900 წ. შეუერთდა რუსეთის დამზღვევ საურთიერთო საზოგადოებათა კავშირს ვადით ამ წლის 1 იანვრიდან 1904 წლის 31 დეკემბრამდე.

წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის მოხსენება: საზოგადოების მოქმედება, წიგნები, ბალანსები და სხვა ყოველივე წესიერად აღმოუჩენიათ.

მ. ქუთათელაძე აცხადებს, რომ მმართველობის შრომა-მოღვაწეობამ საზოგადოების საქმეები წინ წასწია და ამისათვის მოვალენი ვართ ვითხოვოთ, კრებამ ჯამაგირები მოუმატოს თავმჯდომარეს და დირექტორებს.

ე. ლამბაშიძე. თავმჯდომარის ჯამაგირის მომატებაზე თანახმა ვარ, მაგრამ დირექტორებს იმდენი შრომა არ მიუძღვით, რომ ჯამაგირები მოვუმატოთ.

კრება თხოულობს ჯამაგირების მომატებას. დაადგინეს: მიემატოს თავმჯდომარეს 150 მან. და დირექტორებს ათ-ათი თუმანი.

მ. ქუთათელაძე სთხოვს კრებას, მმართველობას სადგომი გამოვუცვალოთ, რადგან მეტად ვიწროდ არიანო.

კრებამ არ შეიწყნარა ეს წინადადება.

თავმჯდომარემ კრებას მოახსენა პენზის საურთიერთო ნდობის დამზღვეველ საზოგადოების მმართველობის შუამდგომლობა. ეს საზოგადოება სხვა-და-სხვა მიზეზების გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილა და ჩვენ საზოგადოებას სთხოვენ შემწეობის აღმოჩენას სათადარიგო თანხიდან სამი პროცენტის ანგარიშით ოცის წლის ვადით.

კრებამ დაამტკიცა მმართველობის მოხსენება ამის შესახებ.

კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამის შემდეგ შეუდგა მმართველობის მოხელეთა არჩევას. მმართველობის წევრად სამის წლის ვადით ერთხმად აირჩიეს ი. ჩიმაკაძე.

თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ერთი კანდიდატი აერჩია მმართველობის წევრისა.

ზაქარია კანდელაკი თავის თავს ასახელებს კანდიდატად. მოუბრუნდა კრებას და ეკითხება: „თანახმა ხართ, ბატონებო, ჩემ კანდიდატობაზე, თუ არაო“.

საერთო სიცილია. ხმები ისმის: „იყოს, იყოს!“ აირჩიეს კანდელაკი.

ზედამხედველ კომიტეტის წევრებად კრებამ დ. კოკოჩოვი და თ. მთავრიშვილი აირჩია და მათ კანდიდატებად დ. ჩიკვაიძე და ა. ქურციკიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: დ. აბდუშელიშვილი და ი. პურადოვი.

ა.

წერილი რედაქციის მიმართ

„ცნობის ფურცელში“ (№ 1711) ამას წინად დაბეჭდილი იყო ქუთაისიდან კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „ცნობილი მოღვაწე მ. დ. მოუფიქრებლად უკარგავდა ქუთაისის სააზნაურო ბანკს ქველ მოქმედების ხასიათს, რომ ბანკს არ დაშველებოდა ბანკის დირექტორი ბ. ერისთავიო.

რადგანაც კორესპონდენტს აქ საუბარი ჩემზე აქვს, ამისათვის გთხოვთ, ბ. რედაქტორო, აღსადგენად სიმართლისა, მისცეთ ადგილი გაზეთში შემდეგ ჩემს შენიშვნას.

ბანკის კრებაში იყო აღძრული საკითხი: ვითხოვთ თუ არა, რომ ქუთაისის ბანკმა იხელმძღვანელოს იმ წესებით, რომლებითაც სარგებლობს ტფილისის ბანკიო. საქმე აი რა არის:

ტფილისის სააზნაურო ბანკის წესდების ძალით, ნასესხებ 20-ათასი მანეთისაგან მსესხებელი იხდის კერძოდ ბანკის სასარგებლოდ პროცენტებს, ამგვარივე წესია ქუთაისის ბანკშიაც; მხოლოდ განსხვავება ბანკებ შორის ამ მხრით იმაშია, რომ ტფილისის ბანკი, რამდენი ხუთი წელიც გავა, იმდენად ხელ-ახლავ ანგარიშობს თავნს, რომელიც ამ რიგად ნიადაგ კლებულობს, და ახდევინებს მოხსენებულ პროცენტებს არა პირველად ნასესხები ფულიდან, არამედ იმ ჯამიდან, რომელიც დარჩენილია. ქუთაისის ბანკში-კი ნასესხებ 20-ათასი მანეთიდან ნიადაგ ახდევინებენ პროცენტებს: აქ არც ხუთი წელია და არც ათი.

ჩემის აზრით, სამართლიანი და რიგიანი საქმე იქნებოდა შემოსულიყო ქუთაისის ბანკშიაც ტფილისის ბანკის ანგარიშები.

ბ. ერისთავმა ჩემი წინადადების წინააღმდეგ მოიყვანა ორი მოსაზრება: ჩვენ არ უნდა მივხედოთ ტფილისის ბანკს, რადგანაც მისი საქმე კარგად არის; თავად-აზნაურობას ფული სჭირდება სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის, თუ მეტი არ გარდავახდევინეთ მსესხებლებს, ხარჯი—კერძო— არ დაიფარებაო.

აი რა იყო ჩემი დანაშაულობა და ბ. ერისთავის ქველმოქმედება!

ვფიქრობ, არაფერ ღირსებას მე ბანკს არ ვუკარგავდი და ბატონს ერისთავს დიდი არაფერი დაუმსახურებია; განა ტფილისის ბანკს იგივე ხასიათი არა აქვს, როგორც ჩვენსას? მაშ, იმისთვის მოუფიქრებლობა რატომ არავის არ შეუწამებია?! ყველა ვხედავთ, რომ უკეთესი და დიდი მამულები ქუთაისის ბანკიდან გარდააქვთ ტფილისისაში; ერთი ამის მიზეზთაგანი არის ქუთაისის ბანკის დიდი პროცენტი; მაგრამ ამას ყურს არ უგდებენ ჩვენი დირექტორები და ისე ჰფიქრობენ, როგორც ძველად ჰფიქრობდა ინგლისის ქვეითა ჯარები:

„ქვეითი ცხენოსანს ომს ვერ გაუწევს.“

შესანიშნავია მეორე საქმის მხარე. ერთი აზნაური მდიდარია, შვილებსაც ზრდის, ასახლებს, ათხოვებს; იმას არა-თუ არაფერი აქვს დაგირავებული ბანკში, არამედ არც-კი იცის, ვალი რა არის (მაგალითებრ, თვით ერისთავი); მეორე აზნაური ღარიბია: უკანასკნელი ეზოც დაუგირავებია, რომ შვილებს სწავლის საშუალება მისცეს; აზნაურობას, რომელშიაც ურევია ეს მდიდარი და ღარიბიც, აქვს საზოგადო საჭიროება—სკოლა, ეკკლესია და სხვა. ბატონი ერისთავი აყენებს საკითხს: ვინ უნდა იკისროს ხარჯი სკოლისა და სხვა: ღარიბმაც და მდიდარმაც, თუ მარტო ერთმა ან მეორემ? გარდაწყვეტილება ბატონის ერისთავისა ამგვარია: ღარიბო, შენ გაქვს მამული დაგირავებული ბანკში, შენ უნდა გარდაიხადო ფული საზოგადოების ხარჯის დასაკმაყოფილებლად. ბანკმა ბევრი პროცენტი უნდა აიღოს,

რადგანაც ბევრი უნდა გასცეს—და საწყალ მსესხელის მდგომარეობაში-კი არავინ შედის...

მ. დარახველიძე.

ქუთაისი, თებერვალი.

უცხოეთის წვრილი ამბები

ქვითკირის ეკკლესიის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე. იმერული ოდა-სახლის და მეგრული ფაცხას გადატანა კი გაგვიგონია ერთი ალაგიდან მეორეზე, მხოლოდ ქვის შენობისა კი რა მოგახსენოთ.

ჩიკაგოში (ამერიკაში) რამდენიმე წლის წინად წმ. ემმანუილის ეკკლესიის გვერდით ააშენეს დიდი სასტუმრო „მეტროპოლი“; მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა, რომ საყდრის სამრეკლო ისე აბნელებს სასტუმროს საუკეთესო ოთახებს, რომ ამ ოთახებმა ფასი სულ დაჰკარგეს.

ამის გამო სასტუმროს პატრონებმა სთხოვეს ეკკლესიის საკრებულოს, რომ იმათი ხარჯით გადაეტანათ ეკკლესია სხვა ალაგს- საკრებულო დასთანხმდა, რადგანაც უკეთესი ადგილი ამოირჩიეს ეკკლესიისთვის.

ეს ეკკლესია, გაზეთების სიტყვით, სიმაღლით 16 საჟენია, ხოლო სამრეკლო—35 საჟენი და სულ თლილი ქვისა, მით უფრო დიდი სიფთხილე უნდოდა ამ შენობის გადატანას, რომ ეკკლესიის შუაგული სულ ცარიელია, რადგანაც შუაში თაღები და სვეტები არა აქვს, და ერთი ბეწვა შერყევაზე შეიძლებოდა, სულ დანგრეულიყო. მაგრამ ამერიკელ ინჟენერებს და ოსტატებს არა გაუჭირდებათ რა. ორმა კაცმა ითავა საყდრის გადატანა: შემოუთხარეს გარშემო ღრმად მიწა და ქვეშ შეუყენეს 1,276 მანქანა, რომლებიც ერთს დროს ამუშავეს, რაკი ამ მანქანებით ასწიეს ეს ალაგი, შეუწყეს უზარ-მაზარი თავ-ხეები და დასძრეს. მუშაობას ცხრა დღე მოუნდნენ და უწინდელ ადგილიდან ეკკლესია რვა საჟენს გააცილეს და დადგეს. მერე ისე სუფთად შეასრულეს ეს საქმე, რომ გალესილი კედლებიდან ერთი მისხალი კირიც არ ჩამოვარდნილა.

თქმა და წერა ადვილია, საქმე ამ სამუშაოს შესრულებაა!

სასამართლო

შეცდომით კაცის მოკვლა

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გორში განიხილა საქმე სიღნაღის მაზრის სოფელ იორომულანლოს მცხოვრების სამად-ყურბან-ოღლისა.

სხვა მწყემსებთან ერთად სამადას წარსულ წელს სიღნაღის მაზრაში მოუპარავს რამდენიმე ცხვარი და თხა, მაგრამ აღებულ ფულში სამადას ამხანაგები წილში არ შემოუყვანია. ამას შემდეგ სამადას ამხანაგებისათვის მიუნებებია თავი და მათთან საქურდლად აღარ დადიოდა თურმე. ამის გამო ამხანაგებს და სამადას უსიამოვნება მოსვლიათ და ერთს მათგანს კარგადაც მიუბეგვია. სამადა დამუქრებია გამლახველს და უთქვამს: „გიჩვენებ შენს სეირს, როცა დაიძინებ—ყელს გამოგჭრიო“.

სამადას გამლახველი მწყემსი საფიქრებელში ჩავარდნილა, მართლა ცუდი არა დამმართოს-რაო, და თავის საწოლზე სხვა დაუწვენია, თითონ-კი სხვაგან დაწოლილა.

სამადას რომ დრო მოუხელთებია, ხანჯალ-ამოღებული ჩუმად შესულა და მიახლოვებია იმ ადგილს, სადაც მისი შეურაცხმყოფელი ეგულებოდა, და იქ მძინარე კაცისათვის ტარამდის ხანჯალი მუცელში ჩაუკრავს. სამადა-კი პოლიციასთან მისულა და გამოუცხადებია—მკვლელობა ჩავიდინეო. როცა პოლიციის მოხელენი მისულან და მოკლულისთვის ნაბადი გადაუხდიათ, სამადას ტირილი დაუწყია და უთქვამს: „ვაი, დავიღუპე, უდანაშაულო კაცი მომიკლავს, ვისიც ჯავრი მჭირდა, ის-კი გადამირჩაო!“.

სასამართლოში საქმის ასეთი ვითარება მოწმეებსაც დაუმტკიცებიათ და სამადამ-კი აღიარა, არ მახსოვს, როგორ მოვკალიო.

სასამართლომ სამადას მიუსაჯა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლის ვადით გაგზავნა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

26 მარტი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ 26 მარტს გამოცხადებულია 50,000 მან. იმპერატორის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ღარიბ სტუდენტთა დასახმარებლად. ამ თანხას ეწოდება სახელად „თანხა იმპერატორის ნიკოლოოზ მეორისა“.

რიაზანი. ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, ქალაქის ბანკს სახელმწიფო რევიზიას უკეთებენ.

სევასტაპოლი. გემი „იმპერატრიცა მარია“ საათ ნახევრის შემდეგ, რაც სევასტოპოლიდან ოდესაში გავიდა, დაეჯახა. გემს „სვიატოი ნიკოლაი“-ს, რომელიც დაძირა. ხალხი გადაარჩინეს.

კალუგა. ქალაქის ურთიერთ დამზღვევი საზოგადოების ანგარიში დაამტკიცეს. წმინდა შემოსავალი წარსულ წელში ყოფილა 22,447 მან. სათადარიგო თანხა ავიდა 180,555 მანეთამდე.

ალჟირი. ერთ დროს გავიდნენ საფრანგეთის და რუსეთის თითო დივიზიები-პირველი ტულონისკენ, მეორე კადიკსში.

ბრიუსელი. ნაციონალური ბანკის შენობაში აფეთქება მოხდა. არავინ დაშავებულა. დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს.

პარიზი. საგენერალო საბჭოებმა მიულოცეს ლუბეს რუსეთში წასვლა. ასე, საგენერალო საბჭომ ბელფორში ასე მიმართა ლუბეს: „საბჭო იმ ღრმა შთაბეჭდილებით, რომ თქვენ ნახავთ რუსეთის იმპერატორს, გილოცავთ ბედნიერს ხანას, რომელიც განამტკიცებს საფრანგეთის დიდებას. სხვა საბჭოების ადრესებში აღნიშნულია, რომ ეს მოგზაურობა უფრო განამტკიცებს ორ მოკავშირეთა შორის მეგობრულს განწყობილებას.

კიევი. ყოვლად-სამღვდელო სერგის სადილი გაუმართეს სასულიერო და სამოქალაქო პირებმა პსკოვის ეპისკოპოსად დანიშვნის გამო.—თბილმა ზამთარმა კარგი გავლენა იქონია ნათესებზე.

კოვნო. ახალი გუბერნატორი ვატაცი მოვიდა.

ხარკოვი. შრომის სახლის თავმჯდომარედ ამოირჩიეს გუბერნატორი თავადი ობოლენსკი.

პეტერბურგი. რუსეთის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრება მოხდა. რადგანაც დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა მიიღო საზოგადოება თავის მფარველობის ქვეშ, ხოლო დიდმა მთავარმა დიმიტრი კონსტანტინეს ძემ—საზოგადოების საპატიო თავმჯდომარის წოდება.

27 მარტი.

პეტერბურგი. 26 მარტს დანიის მეფის დაბადების დღეს საზამთრო სასახლეში გაიმართა სადღესასწაულო საუზმე, რომელსაც მათი უდიდებულესობანი დაესწრნენ. მიპატიჟებულნი იყვნენ დანიის საელჩოს წევრებიც.

ინფანტერის გენერალს მაქსიმოვსკის ალექსანდრე ნეველის ორდენის ნიშნები ებოძა.

უმაღლესის ბრძანებით, ვილნოს კათოლიკეთა ეპისკოპოსი ზვეროვიჩი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.

კვანტუნის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი იტყობინება, რომ 13 მარტს მდ. ლიაოხეს მარცხენა ნაპირზე ხუნხუზების ბრბო 600 კაცისაგან შემდგარი თავს დაეცა რუსის სადარაჯო რაზმს; რაზმმა უკუ აქცია ჩინელები, რომელთაც ოც კაცზე მეტი მოუკლა; რუსებს მოუკლეს ორი უნტერ-ოფიცერი, დაუჭრეს რაზმის უფროსი პოდპორუჩიკი ბელონოვი, ერთი უნტერ-ოფიცერი და სამი ჯარის კაცი. ხუნხუზებს მდევარი დაადევნეს.—„პრავიტ. ვესტნ.-ში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული წესდება იმ საგანგებო კომისიისა, რომელსაც დაევალა სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოკვლევა. წესდების ძალით ამ კომისიისათვის საჭირო ცნობების შესაგროვებლად არსდება გუბერნიებსა და მაზრებში ადგილობრივი კომიტეტები შემდეგის წეს-რიგით: იმ გუბერნიებში, სადაც თავად-აზნაურთა არჩევნები და ერობა არსებობს, საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ იქნება გუბერნატორი, წევრებად იქმნებიან გუბერნიისა და მაზრების მარშლები, საერობო გამგეობის წევრები და თავმჯდომარეები, სახაზინო პალატის მმართველნი, სამეურნეო საზოგადოებათა თავჯდომარენი და აგრეთვე ყველა ისინი, ვის მონაწილეობასაც გუბერნატორი სასარგებლოდ დაინახავს. იმავე გუბერნიებში სამაზრო კომიტეტის თავჯდომარედ იქნებიან მაზრის მარშლები, წევრებად კი საერობო გამგეობის წევრები და აგრეთვე ყველა ისინი, ვის მონაწილეობასაც მაზრის მარშლები სასარგებლოდ დაინახავენ. ხოლო იმ გუბერნიებში, სადაც არც თავა-აზნაურთა არჩევნებია, არც ერობა არსებობს, იქ გუბერნიების და მაზრების კომიტეტების წევრების დანიშვნა მოხდება შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმედების მინისტრების შეთანხმებით. გარდა ამისა „პრავიტ. ვესტ.“-ში ჩამოთვლილია ის გუბერნიები და მაზრები, რომლებშიაც არსდება საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები და აღნიშნულია ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა მათში.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: „უმეტესი ნაწილი იმათი, ვისაც დაბრალდა 9 და 17 თებერვალს მოსკოვში მომხდარ უწესოებაში მონაწილეობის მიღება, უმაღლესის ბრძანებით დაპატიმრებულ უნდა იქმნან არხანგელსკის დროებითს საპატიმროში. არხანგელსკში გაგზავნამდე ისინი იმყოფებიან მოსკოვის საპატიმროში; მათი ყოფაქცევა, მუდმივი მღელვარება, არსებულ წესების და საპატიმროს დისციპლინის დარღვევა ცხადად ამტკიცებენ, რომ ამოდენა ხალხის ერთად მოთავსება საპატიმროში შეუძლებელია და მოსალოდნელია არა სასურველი შედეგი მოჰყვეს, რაც გამოიწვევს სასტიკ ღონის ძიებათა მიღებას. ამის გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა, რომ აღნიშნულნი დამნაშავენი, არხანგელსკში გაგზავნის მაგიერ, მოთავსებულ იქმნენ იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილების საპატიმროებში“.

კოპენჰაგენი. მეფე ქრისტიანეს დაბადების დღე მიულოცეს სამეფო სახლის წევრებმა, მათ შორის რუსეთის ქვრივმა დედოფალმაც.

ლონდონი. მინისტრად ნამყოფი ლორდი კიმბერლეი გარდაიცვალა.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილეს მოხსენებაზე გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ თავად გაგარინის შუამდგომლობის გამო, გაიხსნას შემოწირულებათა მიღება, რათა დაარსებულ იქმნას ნაგასაკში საზღვაო სახლი, როგორც ინგლისური სახლებია, სადაც შეეძლებათ დროებით თავი შეაფარონ რუსეთის შეუძლებელ ქვეშევრდომთ, რომელიც ბედმა მოიყვანა ამ ნავთ-სადგურში და მოკლებულნი არიან ცხოვრების სახსარს, და აგრეთვე იმის გამო, რუსეთის საზღვაო სახლი მიღებულ იქმნას მისი უდიდებულესობის ნაგასაკში ყოფნისა 1891 წელს, ხელმწიფე იმპერატორმა ბძანა: ხელის მოწერა გაიხსნას; საკუთარის ხელით ინება მოხსენებაზე დაწერა: „სიამოვნებით ვიღებ ჩემს მფარველობის ქვეშ საზღვაო სახლს და ვწირავ 50.000 მ.“

პეტერბურგი. სპარსეთის მთავრობის მიერ აღებულ 5 პროცენტიანის სესხის დასრულების შემდეგ, სპარსეთ-რუსეთის გამსესხებელი ბანკი მიიღებს სპარსეთის მთავრობისაგან კონცესიას კავკასიის საზღვრიდან თავრიზსა და კაზვინამდე გზის გასაკეთებლად.

ბლუმფონტეინი. პიტ დევეტი, ბურების ცნობილ სარდლის ძმა, კიტჩენერის თანხმობით აგროვებს ინგლისისათვის ბურების ჯარს ორანჟეს რესპუბლიკაში. ვინც ამ ჯარს შეუერდება, მას შემწეობას მისცემენ ომის შემდეგ თავის ფერმაში დაბრუნდეს.

მოსკოვი. საქალაქო საურთიერთო ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წლიურ ოპერაციიდან დარჩა 112,386 მანათი.

ადესა. ჩამოვიდა ახლად დანიშნული ხერსონის გუბერნატორი ლევაშოვი.

ბერლინი. ჰოლანდიის მინისტრმა კუიპერმა აუწყა ჩიკაგოს გაზეთის კორესპონდენტს, რომ ბურებს შეუძლიანთ გაუმაგრდენ მტერს კიდევ 10 წელიწადი. დიდძალი ინგლისის ჯარი იძულებულია თავი დაიცვას; კიტჩენერის ჯარები, რომლებსაც შეუძლიან იერიშით ბრძოლა, შესდგებიან 1000 და 2,000 კაცისაგან—ორ განყოფილებად; იარაღს და სურსათს ბურები ართმევენ ინგლისელ მხედრებს.

ნოვგოროდი. აქ ჩამოვიდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე; სადგურზე მიეგება ქალაქის თავი პურ-მარილით. დიდი მთავარი ცხენით წავიდა იამ-ბრონიცაში ჯარების დასათვალიერებლად. იქიდან ნოვგოროდში დაბრუნდება და წავა კროჩევიცაში თავის სახელობის დრაგუნთა პოლკის დასათვალიერებლად.

კურსკი. ჩამოვიდა ოლქის ჯარების უფროსი გენერალი დრაგომიროვი.

ვენა. იმპერატორმა მადლობა გადაუხადა იტალიის მეფეს კომანდირის რიპპერისა და აფიცრების კარგად მიღებისათვის.

კონსტანტინეპოლი. ანდრიანოპოლის გუბერნატორი იტყობინება, რომ ბულგარიის ავაზაკებმა მოჰკლეს და დაასახიჩრეს სამი მაჰმადიანი ბულგარელი და ბავშვი და ბულგარიაში გაიქცნენ.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 23 მარტს

ვექსილის კურსი 6 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,05	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$98^3/_4$	„
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათადგ.-მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	351	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათადგ.-მამ. ბანკისა	303	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სათადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—	
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის სათადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზე, სამკურნალო წყლების ახლო, ქირით იძლევა საზაფხულოდ ტფილისის კუთვნილი ორ-სართულიანი სავაჭრო სახლი (წინად აბესალამოვისა) მებელით და მოწყობილებით. სეზონის დასაწყისში სახლს ხელ-ახლად შეაკეთებენ და გაიცემა მთლად ანუ სართულობით. ესევე სახლი **იყიდება**. როგორც საქირავებელი, ისე სასყიდელი ფასის შეტყობისთვის სთხოვენ მიმართონ ტფილისის ქალაქის გამგეობას, ყოველ საქმის დღეს, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—1)

ორშაბათს, 25 მარტს, გაიხსნა ტფილისში, მადათოვის კუნძულზე,
ფ. ი. ფეცის დიდი მუზეუმი.
მუზეუმში 100-მდე სხვა-და-სხვა საგანია. მრავალი ახალი სანახავი! სცენაზე ბევრი ახალი სანახავია პარიზიდან: 1) დაფნა, დევნილი აპპოლონისაგან; 2) გალატეა, მარმალილოს პატარძალი და სხვა. მუზეუმი გახსნილია **ყოველდღე** დილის 10 საათიდან საღამოს 11-მდე; წარმოდგენების დასაწყისი ნაშუადღევის 2-დან. დაწვრილებით იხ. აფიშებში (20—8)

მზადდება პიესების კრებული

„ცხოვრების სარკე“

გამოცემა იოსებ იმედაშვილისა

მე-III წიგნი, რომელშიაც დაიბეჭდება 7—10 (შვიდიდან ათამდის) ჯერ დაუბეჭდავი ახალი პიესა: ავაზაკები (ყაჩაღები), ტრაგედია 5 მოქ. შილლერისა, დრამები, კომედიები, ვოდევილები, სცენები, ლექსები, წერილები თეატრის შესახები, სურათები მსახიობ-მოღვაწეთა და სხვათა შორის, ვლ. მესხიშვილისა (სხვა-და-სხვა როლებში).

რადგანაც ამ გამოცემას დიდი ხარჯი უნდება, ამიტომ საზოგადოებას ვსთხოვთ ხელი მოგვიმართოს წიგნის დაკვეთაში, ე. ი. თვითო წიგნი წინდაწინვე დაიკვეთოს **ერთ მანეთად**, შემდეგ **მეტი ეღირება.**

ხელის მოწერა მიიღება გამომცემლის წიგნთ საჭაჭროში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ და აგრეთვე აგენტებთან.

ფული შეიძლება ფოსტითაც გამოიგზავნოს ხელის-მომწერლის სრულის ადრესით. წიგნი გამოსვლის უმალ გაეგზავნება ხელის-მომწერთ. გასაგზავნ ხარჯსაც ჩვენ ვიხდით. ჩვენი ადრესი: Тифлисъ, книжная торговля, Іосифу Зах. Имедашвили. (5—3)

Дозволено цензурою Тифлисъ, 27 Марта 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.